

# საგზაო

საერთო გაზეთი

პარასკევი 18 მაისი 2001 №90 (1363)

ფასი 50 თეთრი

## გაეცნადეგული სიასლის ღობიბა



18 აპრილი. მცხეთა. თსუ — სიონი 1:3.

ბექა ნოზაძემ ბოლნასელების ბესიკ შენგელიასა (№16) და ნიკოლოზ მინდიაშვილის (№7) დაწოლას ვერ გაუძლო

სურს თუ არა ვინმეს, აქამდე შეუნიშნავს და დაფიქრებულა ამაზე თუ არა, დღეს თუ არა, ერთ კვირაში მაინც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა სულ მცირე ერთ, აქამდე უცვლელ მონაწილეს დაკარგავს. ჯერ კიდევ ზამთარში გამოტირებული სამტრედიის „იბერია“ უკვე მეორედ დაქვეითდა პირველ ლიგაში. სამტრედიელთა ამჟამინდელ და საგაისოდაც მეზობლობისთვის განწირულს კი პირველად მოუწევს თანალიგელებთან გამოთხოვება. ეს ამბავი არახალია და ფინალური ექვსეულების დაჯგუფებისას უკვე ცნობილიც იყო — თორმეტგუნდა ჩემპიონატის ერთადერთი ღირსებადგენილი მონაწილე სწორედ „იბერია“ გახლდათ. დღევანდელ ბოლოსწინა ტურში თავი ქუდში მხოლოდ „ბათუმს“ აქვს. თორმეტივე ჩემპიონატის მონაწილე „გორდას“ და „დილას“, 1995 წლიდან აღზევებულ „სიონს“ და ბოლო 5 წელია „შევარდენის“ მემკვიდრე თსუ-ს კი განწირულის თუ გადასარჩენის გამოსავლენად დიდი ბრძოლების გადატანა მართებთ.

იხილეთ მესამე გვერდი

## იბერკომპანი და ასანიძე ერთმანეთს ემუქრებიან

გუშინ „იბერკომპანი პოლდინგმა“ პირობა შეასრულა — გიორგი ასანიძეს ევროპის ჩემპიონობისთვის პრემია გადასცა, ნონა გაფრინდაშვილს კი ზეიმი გაუგრძელა და დაასახურა. ამ შეხვედრაზე სპორტისა და სპონსორთა სამომავლო ურთიერთობაზე საინტერესო ამბავი გვაძენს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მექმარიაშვილმა, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა კი გაგვიმხილა, თუ გიორგი ასანიძეს ხუთი კილოგრამით რატომ ემსუბუქება შტანგა.

იხილეთ მეოთხე გვერდი



**თელი ზიზ ზიზაკი**

საიუბილეოს გამტანი



ფრანგული პრესა ქართველი მორაგბის შესახებ



ელგუჯა ბერიშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, გიორგი ასანიძე და ირაკლი მექმარიაშვილი

გადამი კამერალაქოტო

გადამი კამერალაქოტო







პიტერ რილსდელს ბოიერისთვის მთელი ინგლისი შეეგება



სოკოლი — ლოკომოტივი. ლოკომოტიველებმა ვადიმ ცესყველა (№5) მიხაილ იყიტინი ბურთს არ გააყარა

Table with match statistics for 'რუსეთი' (Russia) including goals, assists, and minutes for various players.

Table with match statistics for 'ნორვეგია' (Norway) including goals, assists, and minutes for various players.

Table with match statistics for 'უზბეკარია' (Uzbekistan) including goals, assists, and minutes for various players.

Table with match statistics for 'სომხეთი' (Armenia) including goals, assists, and minutes for various players.

წიგნი და თავისიანთაგან წლის საუკეთესო მოთამაშე დაასახელეს. ადენი-შოთ, რომ გამოკითხვაში „ლიდისს“ ქომაგები და ფეხბურთელები მონაწილეობდნენ.



ლი ბოიერა: მილიარდს

რუსეთი თასის 1/2 ფინალი 21 იანვარი. 10:00 (49). ჩ. ანჯელი (66). 21 რანჯელაზი (70). სკოლი 0:1 ლოკომოტივი. 02:00 (90).

რსა არადა, 92-ე წუთი იწურებოდა. ზაზა ჯანაშია სათადარიგოს სკამზე იჯდა. სიომინის თქმით, ის დამატებით დროში აპირებდა ქართველის მინდორზე გაყვანას, მაგრამ ევსევეის მოულოდნელობა გოლმა ისედაც ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მსაჯის დამატებულ დროში, სარატოვში დაამარცხა „სოკოლი“ და ბოლო ექვს წელიწადში მეხუთედ გავიდა ქვეყნის თასის ფინალში.

აი, დაღესტანში კი ზეიმაია. მათი „ანგი“, ჯერ კიდევ გუმინ დაბალი ლიგის ბინადარი, ქვეყნის თასის ფინალში გავიდა. მასჩაყალუთა მწვრთნელი და მამა, გავი გავეყვი მატჩამდე რადიოში საათით ადრე მოსკოვში გაფრინდა.

იყიდება! ნახვარი კომპიუტერული ტექნიკა. ტელ. 38-11-14, 39-48-29

ნფოკაასია 24 საათის განმავლობაში ფეხბურთი, NHL, NBA. 8 22 009 000, 8 22 009 001

იყიდება რატბოლის ლიგაში. 39 42 65 (საღამოს. 19:00-21:00)

პორტუგალია სუპერთასი. გადათამაშება სპორტივნი ი პორტუ (ჩ). 10 აპრილი (44:3)

ინგლისი კლუბი ოფი. II მატჩები II დივიზიონი. რაიფინი 2:1 უიგანი (0:0)

პარიზატის თასი B ჯგუფი. I ტური შუბა 4:3 სურინამი. 0:1 კინაინი (3), 0:2 ვებოლტი (17:3), 1:2, 2:2, 3:2, 4:2 ა. ბურესი (32, 34, 46, 65), 4:3 სანჯელი (8)

შუალაი 4:2 სტოკ სიტი (0:0) 0:1 კანე (31), 1:1 უორდი (42სკ), 2:1 მატისი (47), 3:1 კიტისი (50), 4:1 მატისი (61), 4:2 ტორნი (85)

ბრაზილია თასის 1/4 ფინალი I მატჩები. ფორტალეზა — პონტი პრეტა 1:1, კორითი — ფლამინგო 3:2, გრემიო — სან პაული 2:1. კორინთიანის — ატლეტიკო პარანენსე ნუველ გვიან გამართა

III დივიზიონი პარტლაული 1:3 გლუპული (0:2) 0:1 ორმეროდი (20), 1:1 ზენდერსონი (48), 1:2 შილბი (49), 1:3 ორმეროდი (57)

Copa Toyota '2001 Libertadores ლიბერტადორის თასი 2001. 1/8 ფინალი. სპაუსუო მატჩები. კარუს ასული (მომსია) 3:1 სარუ პორტინუ (პარაგვაი) (1:2)



# თეთრი ალბობი და ნიბელი გუნდი ფრანგი სოფლელი ბითლზის ქალაქიდან

**სამოციანი წლების ბილ  
შენკლის ლეგენდარული  
„ლივერპულის“ თამაშებზე  
„ენფილდზე“ ნემსის  
ჩასაგდებად აღდგლი არ  
რჩებოდა. ახლაც ასეა  
ხოლმე. განსაკუთრებული  
ქომაგობა იმ ტრიბუნაზე  
იყო, რომელსაც  
ინგლისელები KOP-ს,  
ხოლო ქართველები  
„ჯუნგლებს“ ვეძახით. ვინ  
მოთვლის, რამდენ  
ადამიანს დაუდგამს ფეხი  
„ენფილდის“ KOP-ზე. მათ  
შორის იყო ახალგაზრდა  
ფრანგი მასწავლებელი  
ჟერარ ულიეც, ხმის  
ჩახლეჩამდე რომ  
ქომაგობდა თავის გუნდს.**



REUTERS ფოტოგრაფიდან

54 წლის წინ კალეს მასწავლებელ  
პატარა სოფელში ფრანსუა და ფიხელ  
ულიეცს პირველი შვილი შეეძინათ  
— ჟერარი. ცოტა ხანში ჟერარის უმ-  
ცროსი ძმებიც დაიბადნენ — ჟაკი, შე-  
ნდვომში ტრამვაის მემანქანე და სე-  
რჟი, ექიმი. როცა წამოიზარდნენ, ისი-  
ნი ერთად ავტობუსებზე ბურთის სოფლის  
მთავარ ქუჩაზე იქვე იყო მათი მამაც,  
რომელიც საკუთარი საფასბოს კართან  
იჯდა და მსაჯობდა. „ჟერარს აბოლდე-  
ბდა ფეხბურთზე — ივონებს მისი ბა-  
ნისთვის მეგობარი — მთელი ქუჩა ჩვე-  
ნი იყო და რამდენიმე საათს შეუსვენ-  
ებლად ვთამაშობდით“. ქუჩა ერთა-  
დერთი ადგილი გახლდათ, სადაც ჟე-  
რარ ულიეს თამაში შეეძლო, სოფლის  
სკოლიდან ფეხბურთი განედევნათ, იქ  
კალათბურთს და ხელბურთს ანიჭე-  
ბდნენ უპირატესობას.

მოგვიანებით, როცა ჟერარ ულიეც პე-  
დაგოგიური კოლეჯის სტუდენტი გა-  
ხდა და შინ უქმეებზედა ბრუნდებდა,  
მთელ თავისუფალ დროს კვლავაც ფე-  
ხბურთს უთმობდა.  
და მაინც, საიდან გაუჩნდა ფრანგ  
სოფლელ ბიჭს ასეთი სიყვარული „ლი-  
ვერპულის“ მიმართ? ამასთან დაკავ-  
შირებით საინტერესოა ულიეს საუკე-  
თესო მეგობრის, ჟან პიერ გოლბლის  
მოგონება: „სოფელში ჩვენი ერთადე-  
რთი გასართობი დისკოთეკა იყო, სა-  
დაც მალევე ხშირად დავდიოდით, თუ-  
მცა დიდი მრავალფეროვნება იქ არ  
ყოფილა — გამუდმებით „ბითლზს“ უკ-  
რავდნენ და რომც არ გვემთხებოდა,  
ლივერპული თოხნული ჩვენი საყ-  
ველელი ჯგუფი იყო, მათ მუსიკაზე  
ადვილად ვიხარებდით“.

დისკოთეკიდან დაბრუნებული ჟერარ  
ულიეც რადიოში ინგლისურ არხებს იტყუ-  
რდა და... ინგლისურ მუსიკას არა და  
საფეხბურთო მატჩების ტრანსლაციას  
კი უსმენდა. აღენიშნო, რომ ის თავი-  
სუფლად ფლობდა ინგლისურს, კოლე-  
ჯის დამთავრების მერე ხომ ინგლისურ-  
ის მასწავლებელი უნდა გამხდარიყო.

სამოციანი წლების ბოლოს 26 წლის  
ულიეც წერილი მიუვლიდა. „ალსოპ ჰაი  
სქულის“ ატვირთვების მერე ხომ მისი  
მონაცემები სკოლის მოთხოვნებს აკ-  
მაყოფილებდა და ფრანგულის მასწავ-  
ლებლის ადგილის მიღება შეეძლო.  
„ალსოპ ჰაი სქული“ ლივერპულშია.  
ასეც ხდება — საფრანგეთში ინგლი-  
სურის მასწავლებელი, ინგლისში ფრა-  
ნგულის მასწავლებლად იქცა.

ფილიპ ჯეიმისონი, „ალსოპის“ მა-  
შინდელი დირექტორი: „მასოვს, რა  
ბედნიერი იყო ლივერპულში რომ ჩა-  
მოვიდა. ერთხელ მითხრა, სახამ აქ მო-  
ვხდებოდით ეს ქალაქი უკვე მიყვარ-  
დაო. როცა ჟერარი რამდენიმე წლის  
წინ კვლავ დაბრუნდა ლივერპულში,  
მაშინდა მივხვდი, რამდენისთვის მიუ-  
ღწევია — „ლივერპულის“ მწვრთნელ-  
ბაზე დიდი თანამდებობა არ არსებობს“.  
„ალსოპ ჰაი სქული“ ისტორიული  
ადგილია — იქ შედგა ჟერარ ულიეს  
სამწვრთნელი დებიუტი. ლივერპულე-  
ლი მსატყვარი რეი ქენერის მოგონებ-

დან: „ჩვენი ფრანგულის მასწავლებე-  
ლი გაკვეთილების შემდეგ თოთხმეტი  
წლის ბიჭებს სკოლის მოედანზე შეგ-  
ვიშვებდა. თვითონ გვერდით ხაზთან  
იჯდა და გვემთხვრავდა. ახლა რომ უუ-  
კვირდები, მალევე გვერდით რამეებს  
გვასწავლიდა. ფეხბურთელობა ჩემი ბა-  
ნისთვის იცნებდა იყო და ულიეს ყველა  
შენიშვნა რომ გამოეთვალისწინებინა, ჩე-  
მან მართლაც კარგი მოთამაშე დადგე-  
ბიდა. „ლივერპულის“ შეხვედრებს რომ  
ევუყურებ, ვამაყობ, რადგან ერთ დროს  
ის ჩემი მწვრთნელი იყო, თუმცა — უბე-  
დნიერესი ადამიანი ვიქნებოდი, ულიეც  
„ივერტონში“ რომ მუშაობდეს, მე ხომ  
„ივერტონის“ ქომაგი ვარ“.

რეი ქენერის საოჯახო ალბომში  
ძველისძველი შავ-თეთრი ფოტოც ინა-  
ხება: თერთმეტი ბავშვი და მათი ახა-  
ლგაზრდა ფრანგულის და ფეხბურთის  
მასწავლებელი.

სამოცდაათიანების დასაწყისში ჟე-  
რარ ულიეც საფრანგეთში დაბრუნდა და  
დაქორწინდა, თუმცა ოჯახური ცხოვ-  
რება მაინცდამაინც ვერ აეწყო, სულ  
გზაში იყო — არასსა, სადაც ცხოვ-  
რობდა და მასწავლებლად მუშაობდა  
და ლე ტუქეს შორის, სადაც ადგილო-  
ბრივი კლუბის დუბლების მწვრთნე-  
ლი იყო. ლე ტუქეში ის იმ ფეხბუ-  
რთის დანერგვას ცდილობდა, რაც „ენ-  
ფილდის“ KOP-იდან ჰქონდა დახსუ-  
ლი და ნასწავლი — ლეგენდარული  
ბილ შენკლისგან კი მონდობებული კაც

რადაცას აუცილებლად ისწავლიდა.  
სამშობლოში დაბრუნებულს ლივე-  
რპული და „ალსოპი“ არ დაეწეებია.  
ალსოპელი მასწავლებელი ალან პე-  
ველი ივონებს: „78 წლის მამი იყო.  
მოსწავლეების საფრანგეთში ექსკურ-  
სიაზე წაყვანა გადაწყვიტეთ. ჟერარი  
დიდი ხნის წასული იყო ჩვენგან, მა-  
გრამ მაინც შევეხმინე და ჩვენი აზრი  
გავანდე. საფრანგეთში ფანტასტიკური  
დრო გავატარეთ, ჟერარმა ყველაფერი  
დიდებულად მოაწყო. ვიცოდი, რომ თა-  
ვისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა,  
მაგრამ სულ თან დაგვეყვებოდა. ყოვე-  
ლთვის ბრწყინვალე პიროვნება იყო,

„ლივერპულის“ გამარჯვებით ევროთასების მფლობელთა ისტორიულ სიაში კვლავ ინგლისი დანინაურდა:  
ამ ქვეყნის გუნდებს დღეისთვის ჯამში 27 ევროპული თასი აქვთ მოპოვებული. მერე ადგილზე იტალია  
26 თასით, მესამეზე კი — ესპანეთი 23-ით;  
მას მერე, რაც 1986 წლის უფფას თასის პირველ ფინალურ შეხვედრაში მადრიდის „რეალმა“ გერმანული  
„ბორუსი“ 5:1 დაამარცხა, „ლივერპული“ პირველი გუნდია, ევროთასის ფინალში ხუთი გოლი რომ  
გაიტანა;  
გუმინინდელი ფინალი ევროთასების ისტორიაში პირველია, რომლის ბედიც „ოქროს გოლმა“ გადაწყ-  
ვიტა, სულ კი მსოფლიოს უმთავრეს ტურნირებში ეს მეხუთედ მოხდა. ნინა ოთხი „ოქროს გოლის“  
ავტორები არიან:  
1. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ოლივერ ბიროფი (გერმანია — ჩეხეთი 2:1)  
2. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ლორან ბლანი (საფრანგეთი — პარაგვაი 1:0)  
3. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი — პორტუგალია 2:1)  
4. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი — იტალია 2:1)  
ევროთასების შვიდი მოგებელი ფინალიდან ოთხში „ლივერპულს“ პენალტების ზუსტად შესრულებაც  
შეეძვლა: 1976 წლის უფფას თასის ფინალში კევინ კიგანმა „ბორუსის“ გაუტანა, 1977 წლის ჩემპიონთა  
თასის ფინალში ფილ ნილმა — მიონხენგლადბახის „ბორუსიას“, 1984 წლის ჩემპიონთა თასი გუნდმა  
„რომასთან“ პენალტების სერიით მოიგო და ახლა, როცა გარი მაკალისტერმა კვლავ ზუსტად დაარტყა.

# ლიბის, აჟაყნის, უეფასი



25 თებერვალი, კარლიფი



12 მაისი, კარლიფი



16 მაისი, ღორტმუნდი









# საიუბილეოს გავტანი

## ზიზიბაძეები გაორმაგებენ გამგავან



ფოტო: ირაკლი აბოშანიანი

სვლელად იბრძოდა და ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი წავაგეთ „სიოიანთან“. მე ექვს შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. მწვრთნელი ძალიან შემადლიერებოდა და მთხოვა, ახალი სეზონისთვისაც დავრჩენილიყავი გუნდში, მაგრამ უკეთესი ვარიანტი გამოჩნდა.

— **კერძოდ?**

— ახალი სეზონიდან პროფესიულ

გუნდში, „ელიტ-1“-ის „ბეზიეში“ ვითამაშებ და ეს ჩემთვის დიდი პატივია. კონტრაქტის პირობებზე უკვე მოველაპარაკე კლუბის მესვეურებს. საფრანგეთში ავვისტოში ჩავალ და ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდება. სხვათა შორის, „ბეზიეში“ ხუთი ქართველი ვიქნები. გოდერძი შველიძე და ილო ზედინიძე წინა სეზონშიც იქ თამაშობდნენ, ახლა მე, მახო ურ-

თავის დროზე არც მამამისი ყოფილა ურიგო მორაგბე. ბორის ზიზიბაძის 13 წელი უთამაშია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში (იგივე „აიაში“) და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლ-ბრინჯაოსა და ვერცხლის ვერცხლ-ბრინჯაოსა და ვერცხლის ვერცხლ-ბრინჯაოს მიწვევით, თავსაცობდა ნეაქტუბოს „სათაფლიას“ და ქუთაისის „აიეტს“. ამასთან, პრაქტიკულად არ შეუწყვეტია ბავშვთა ჯგუფებთან მუშაობა. სწორედ მამის მეთვალყურეობით ჩამოყალიბდა მორაგბედ ვეროპის ერთა თასის მფლობელ ბორჯღალოსანთა 20 წლის შუამარბი თედო ზიზიბაძე.

ეს ბიჭი ნამდვილი ტალანტია, რაგბისთვისაა გაჩენილი, მიაჩნიათ ჩვენებურ თუ უცხოელ სპეციალისტებს და დიდ მომავალს უნინანსარმეტყველებენ. გვეჯერა ამისა და ფაქტიც სახეზეა: ავვისტოდან თედო ფრანგულ „ელიტ-1“-ის „ბეზიეში“ გააგრძელებს კარიერას, მანამდე კი ეროვნულ ჩემპიონატში „აიას“ დაეხმარება.

ჯუჯუკვილი და ტარიელ რატიანიძეც დავემატებო.

— **საფრანგეთში კარგად მიგიღეს?**

— ძალიან თბილად. ჯერ კიდევ ტუშანში ბევრი მეგობარი ვავიხინე. ჩემი წასვლის შესახებ რომ შეიტყვეს, თანაგუნდელების ძალიან დაწყდათ გული.

— **ტუშანში მღვინეობის შესწავლა დაგიწყია?**

— კლუბის პრეზიდენტი ღვინის მწა-



ფოტო: ირაკლი აბოშანიანი

2001 წლის 17 მარტი. საქართველო — ესპანეთი. თედო ზიზიბაძის მორაგბე ფინტი

# საქართველოს ნაკრების ნევრი თედორ ზიზიბაძე ტუშანის შეტევისა და კულტურის სანტრში

### უკვე რამდენიმე კვირია, „ტუშანში“ თამაშობს, სადაც ის პრტიფიულად ლანგედოკურ რაგბის კულტურასა და მღვინეობას ეცნობა. მღვინეობის დღეები აღამიანობაზე გადის.

რაზმი აღამიანთა შორის კავშირის დამყარების მშვენიერ საშუალებად რჩება ის ამასთანავე ქვეყნებსაც ახლოებს ერთმანეთთან და ხანდახან რომელიმე მოთამაშეს საშუალებას აძლევს, საოცარი სპორტული და ცხოვრებისეული თავგადასავალი გადახედოს. თედორ ზიზიბაძემ უეჭველად შეუძლია ამის დადასტურება. მორაგბე საქართველოდან, სადაც ოვალური ბურთი ერთგვარად ჩრდილში იმყოფება, კორბიერში სინათლეში მოხვდა და ტუშანის თხუთმეტკაცასადში სივარული დაინახა.

ამ 20 წლის ათლეტური აღნაგობის შუამარბმა ახლახან ჩაიცვა მითიური „მავ-ითელი“ მაისურა. როგორ მოხვდა თედორი აქ? „ტუშანის“ პრეზიდენტი ხსნის: „საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი მონაწილე-

ეში ცხოვრობს. რამდენიმე წელია, ის თავისი ქვეყნის ნიჭიერ მორაგბეებს საფრანგეთში ჩამოსვლაში ეხმარება, რათა ისინი აქ გამოიწირონ და საქართველოში რაგბის შემდგომი განვითარების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ. ამასთანავე, ჩვენ ორ ქვეყანას შორის ტექნიკის მხრივაცაა გარკვეული სხვაობა. ერთი დღეს ტიერი რუდილთან (საქართველოს ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი) საუბრისას, ვიკითხე, ვინმე ქართველს ხომ არ დააინტერესებდა ტუშანში სათამაშოდ ჩამოსვლა. გასულ ნოემბერში ტიერი რუდილმა და კლოდ ბრიუნელმა (სორელიზა?) — ეგ. ახალგაზრდა სამედიცინელი, თედორი შემომთავაზეს. ის ერთი კვირით ჩამოვიდა, ივარჯიშა და მოგვეწონა“.

საქართველოს ნაკრების ძირითადის წევრი თავდასხმელის დებიუტი სამი მატჩის წინ შედგა (სტატია მომზადებულია თებერვალში, გ.გ.) და „იქიდან მოყოლებული თამაში აღარ წავივია“ — აგრძელებს ბერტრან სადურნი.

თედორის ინტეგრაცია უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. „ის ძალიან ძლიერი მორაგბეა, საკმაოდ კარგი დონისაა. ჩვენი რაგბიც მოსწონს — ამბობს „ტუშანის“ პრეზიდენტი — ქართველი

რმოებელი ფირმის მეპატრონე გახლდათ და შემომთავაზეს, „საქართველოს“ გაცნობოდიც ეს-მეც-მინდოდა და უარი არ მითქვამს. მართლაც საინტერესო იყო.

— **ფრანგულადაც აცლობარაყვას?**

— ფრანგული ენის ცოდნა ჩემთვის აუცილებელია. ცოტა რამ ავითვისე, უფრო მეტს მომავალში ვისწავლი.

— **თედო, საქართველოს ნაკრებში ვერ არჩაბულ წარმატებას მიაღწია, ევროპის ერთა თასი მოიგო. შენი ბრითი, რამ განაპირობა ეს გამარჯვება?**

— უპირველესად ყოვლისა, ეს ჩვენი მწვრთნელი, კლოდ სორელის დასახსურებაა. ჰკვიანი, გამოცდილი დამრბეებელია. კარგი გუნდი შეკრა, შეთამაშა. სათამაშოდ მისულეს ბოლომდე დახარჯვა. ვეცხოვრე, წვრთნას არ ვგაკლებს. ვფიქრობ, საფრანგეთში ქართველი მორაგბეების ემიგრაციამ დიდი როლი ითამაშა. ბიჭები იქ კლასს იმალებენ, თორემ მარტო ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობდნენ ვერაფერს შეეძინებოდა. ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო სარბიელზე ასეთი წარმატებით ვერ გამოვიდოდით.

— **შენ გარე ნახევარმცველის პოზიციებზე თამაშს იყავი შეჩვეული, ნაკრებში შუამარბად გაყვინებ?**

— ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. სად უნდა ვითამაშო. ისე, ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არც აქვს. მეტნაკლებად ნებისმიერ პოზიციებზე შემიძლია გამოვადგე გუნდს.

— **დიდი ხანი არ არის, რაც ნაკრებში ხარ. რომელი მატჩი იყო შენთვის ყველაზე საინტერესო?**

— ვცდილობ, ყველა თამაშში სრულად გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები, არავის ჩამოვრჩე წლებს ძალიან მძიმე შეხვედრები გვექონდა რუსეთთან და რუმინეთთან. სასიხარულოა, რომ ორივეს სტუმრად მოვუვით. მაგრამ ჩემთვის გამორჩეული მაინც პორტუგალიასთან თამაში იყო. ორი ლელო მივითვალე, თანაც მეორე ნაკრებისთვის მე-100, საიუბილეო გამოდგა. იმედი მაქვს, მომავალში ნაკრებს მეტადაც შევეწვევი.

— **„ტუშანში“ დავებრუნდით. ამ კულტურაში მათალი ანაზღაურება გექნება?**

— ნორმალური. ისიც ვიცი, რაც უკეთესად ვითამაშებ, მით მეტს მივიღებ.

— **თამაშთან ერთად ხომ არ იმუშავებ?**

— არა, „ბეზიე“ პროფესიული კლუბია. ჩემი ერთადერთი სამუშაო იქ ვარჯიში და თამაში იქნება.

— **საფრანგეთში როდის გაემგზავრები?**

— ალბათ, ივლისის ბოლოს, იქ სეზონი ხომ ავვისტოში იწყება.

— **გაივით, მუდღუნულთან ერთად აპირებ წასვლას.**

— არა, ჯერ იქ თავად უნდა დავმკვიდრდე. ივლისში შეივს ველოდებით და ნაარევი იქნება ქუთაისიდან აყრა.


— **თედო, შენი უმცროსი ძმებიც თამაშობენ რაგბის?**

— ჩემზე ორი წლით უმცროსი ზურა მხოლოდ მოყვარულის დონეზე აი, მწლის გიორგი კი აქედანვე აცხადებს, საქართველოს ნაკრებში თედოსთან ერთად უნდა ვითამაშო. ისეთი ბიჭია, რომ...

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

NBA. პლეი ოფი. მეორე ზრე (ოთხ მოგებად)

# პატარა ქაღალდი დინოზავრები გააბითურა



ალენ აივერსონმა ელენ ვილიამსის ხელს ზემოდან ჩააგდო

მღე კი იგი ვერც უცნობი სიდიდე და ამიტომ ნაცნობი იზომება, მას ჯორდანის აზომებენ. ერთი რამ კი ცხადია, იმ რამდენიმე შორის, „ახალ ჯორდანს“ რომ უწოდებენ, იგი საუკეთესოა.

დღესდღეობით აივერსონი ერთ-ერთ „ახალ ჯორდანთან“ ვინს კარტერთან არკვევს ურთიერთობას. 15 მაისს თამაშის სტატისტიკა ბევრზე მეტყველებს. აივერსონმა 52 ქულა ჩააგდო, კარტერი კი — 16. ვინს კარტერს, ცხადია, მეტიც შეუძლია, მაგრამ იმ დღეს მას უფრო საშური საქმე ჰქონდა, აივერსონი უნდა შეეჩერებინა. რამდენად გამოუვიდა, ამის გასარკვევად კვლავაც სტატისტიკა მოვიშველიოთ.

ამ ერთი კვირის წინ კარტერმა თქვა: „მას ვერავინ გააჩერებს საკუთარი უხასიათობის გარდა. ერთი ერთზე ის ყოველთვის გააგვიკვირებს ნებისმიერს აუვლის გვერდს. მისი მეურვეობისას მთავარია, გამოიცილო მოედნის რომელი წერტილები დაასრულებს მოძრაობას და საიდან ესვრის. აი, მაშინ თუ შეძლებ რამეს. იქ უნდა გაჩნდეს და ეცადო, დაუფარო“.

აივერსონის წინააღმდეგ ამ ხერხით საბრძოლველად მომზადებული კარტერი იმ დღეს არაერთხელ შეცდა. იგი 198 სანტიმეტრია, ესე იგი აივერსონზე 15 სანტიმეტრით მაღალი. ამდენად, იმ იმედით, რომ სროლისას დაეუფარებო, არ აპირებდა დრიბლინგში ხელის შეშლას და ამიტომაც არაერთხელ წამოეგო მის ანკესზე. აივერსონმა მონიშნა იმის დამტკიცება, რომ დრიბლინგთან ერთად სროლაც გადასარკვევად ეხერხება და მოახერხა კიდევ სამქულიან ხაზთან კარტერის წინ ბურთით მყოფი ტორონტოსის გასაცურებლად აკეთებდა უსწრაფეს მოძრაობას მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ და შემდეგ კარტერის (ზოგჯერ სხვისიც) ცხვირწინ, ხელს ზემოდან სამქულიანს აგდებდა. ამგვარად მან რვაჯერ ჩააგდო შორიდან, რაც კლუბის ყველა დროის რეკორდია.

აივერსონის გამირობის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ „ფილადელფიამ“ უხარმაზარი უპირატესობით იმარჯვა. „ტორონტო“ თავიდანვე დაიბნა. დაცვაში უხეიროდ მოთამაშე სტუმრები შეტევაშიც აირივნენ და პირველ მეოთხედში ათჯერ დაკარგეს ბურთი, სულ კი 12 ქულა მოიპოვეს. ხუსტად ამდენითვე „დაკმაყოფილდა“ აივერსონი, მისმა „ფილადელფიამ“ კი მეოთხედი 33:12 მოიგო. „ტორონტო“ მეორე თორმეტწუთეულში გამოფხიზლდა და „დინოზავრებმა“ 21-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრა განიზრახეს, მაგრამ საკუთარ კალათში აივერსონისგან 17 ქულა მიიღეს და სხვაობას ვერც ვერაფერი მოაკლეს. „რეპტორნი“ მეორე ნახევარშიც განაგრძობდა ბრძოლას, თუმცა სტუმართა ლიდერი, კარტერი ცუდად ლიდერობდა, აივერსონი კი მეორე ტაიმშიც ძალდაუტანებლად განაგრძობდა ერთბაშად ხუთი მოწინააღმდეგის გაბითურებას, სხვაობაც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა და საბოლოოდ 33 ქულაც შეადგინა. ტორონტოელთ ამ მათთვის კომპარულ დღეს კარტერის ტრავმამაც მოუწამლა გუნება. ბოლო მეოთხედის დასაწყისში ფილადელფელთა გიგანტმა ცენტრმა დიკემბე მუტომბომ მას თავში ხელი მოარტყა (შემთხვევით) და დაანოკაუტა. კარტერი თავისი ფეხით გავიდა მოედნიდან და დარჩენილ დროში აღარც გამოჩენილა, თუმცა ნამატჩეებს თქვა, არაფერია, თავი მტკიცა და შემდეგ შეხვედრაში უთუოდ ვითამაშებ. მე უფრო ის მაწუხებს, რომ წაავაგეთ, მაგრამ თუ კაცი ყოფილვარ, მაგათ ამას არ შეგარჩენო. ვინს კარტერს სიტყვის კაცად იცნობენ.

სერიის მეექვსე შეხვედრა 18 მაისს ტორონტოში გაიმართება.

**იჩაკალი ფიჩაზილი**

თურქეთი	კლუბი ოფი
მეთხედფინალი	(სამ მოგებად)
ბელაქოვი	2
ფანერბაჰჩე	1
ბელაქოვი	89:87 ფანერბაჰჩე

NHL. სტანლის თასი. კონფერენციის პირველი რაუნდი (ოთხ მოგებად)

# შაიზის პერაბობა

16 მაისი

დასავლეთი	
სანს ლუისი	1
კოლორადო	2

სანს ლუისი 4:3 კოლორადო

(2 0:0 2:1 0:0 1:0)

10 სანსონი 6 (3), 11 ბურგი 7 (2), 12 შინოტი 9 (1), 22 მელანი 51 (3), 23 მესი 53 (2), 33 მაიერსი 55 (1), 4:3 იანგი 91 (6)

კოლორადოს ფორვარდ სტეფან იელს ოვერტაიმის მე-5 წუთზე შექმნილი მომენტი ალბათ არასდროს დაავიწყდება. კრის დრურის შორეული დარტყმის შემდეგ სენტლუისელთა მეკარე რომან ტურეკმა ძალიან უწონოდ მოიგერია შაიბა. კართან ბრძოლის შემდეგ იგი იელს მიუვიდა. ტურეკიც თითქმის უკვე უძღური იყო და კოლორადოელს შაიბა ოდნავ მაინც რომ აეწია პარში, ოვერტაიმი დასრულდებოდა და... ფაქტობრივად სერიაც იელი კი წამით შეყვინდა და მხოლოდ შემდეგ გაასრიალა რეზინის დისკი, რომელსაც მეკარემ ყვანჯით მიმართულება შეუცვალა, იგი ძელს მოხვდა და ბორტისკენ გადავარდა. ეს ეპიზოდი ასე დაწვრილებით იმიტომ აღეწერეთ, რომ ვინც თამაშს ვერ ნახა, თვალნათლივ წარმოიდგინოს, ოთხშაბათს საღამოს რა ვერაობა ჩაიდინა რეზინის პატარა დისკმა, რომელსაც შაიბას უწოდებენ.

გულსატკეპნი მოგონება მარტო იელს როდი დარჩა. ოვერტაიმში ორივე კართან უხვად შეიქმნა საგოლე მომენტები. იელის პარტნიორებს — ერიკ მესისს, მილან ჰეიდლესს, დან ჰაინოტს, სენტლუისელებს — სკოტ მელანის ცვლავ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო თავის გუნდში, ჯამალ მაიერსს, კეიტ ტკაჩუკსა და უამრავ სხვას შეეძლო, ოვერტაიმი გაცილებით ადრე დაესრულებინა, მაგრამ შაიბა ერთობ ჯიუტობდა. მეკარეებმაც საუცხოოდ აასარჩუნეს დამატებით დროში. ტურეკი, რომელიც ძირითად დროში რამდენჯერმე შეცდა და ჰაინოტის გოლი მთლიანად მის სინდისზეა, ზემოხსენებული ეპიზოდის შემდეგ გაუვალ კე-

დლად იქცა, ხოლო პატრიკ რუა (56 მოგერიება) მთელი 91 წუთის განმავლობაში ბრწყინავდა, თუმცა მერე მოსახდენი მაინც მოხდა. ილბალმაც იმ გუნდს გაუღიმა, რომელიც უფრო იმსახურებდა მოგებას. პიერ ტარჯონმა მისთვის ჩვეული ცბიერი პასი გადააწოლა და კართან აღმოჩენილმა სკოტ იანგმა ისე ზუსტად დაარტყა, რომ შაიბამ რუას მხარს წამებში გადაუქროლა და კარში აღმოჩნდა.

სენტ ლუისი მართლაც ცოლო იქნებოდა, სერიაში ანგარიში 3:0 რომ გამხდარიყო. იგი წინა თამაშშიც ჯივრინანდ უტევდა და მეტოქის დაცვა გვირავანდ გააწვალა. ძირითად დროში ამგვარად უკეთ გამოიყურებოდნენ მასპინძლები. თამაში მხოლოდ ოვერტაიმში გათანაბრდა. მას შემდეგ, რაც ჯარიმებით და ლეღვით აღსავსე პირველი პერიოდის პირველ 7 წუთში გუნდებმა რიცხვმრავლობაში გატანილი გოლები გაცვალეს, ჰაინოტმა ტურეკის შეცდომის შემდეგ წინ გაიყვანა სტუმრები. შემდეგ კოლორადო კბილებით იცავდა მინიმალურ უპირატესობას, მასპინძლებიც ოდნავ სწორხაზოვნად უტევდნენ, მაგრამ როგორც კი სკოტ მელანშიმ არასტანდარტულად ითამაშა, მისმა საშუალო დისტანციიდან უძლიერესმა, მაგრამ არაფექტურმა დარტყმამ ანგარიში გაათანაბრა. ამით აღფრთოვანებული მასპინძლები შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ კინაღამ თავი დაიღუპეს, როდესაც სწრაფ კონტრშტურეზე ერიკ მესიე პარტოდმარტო აღმოჩნდა კართან. „ბლუზმენები“ მაიერსმა იხსნა, ოსტატურად შეცვალა მან პარში შაიბის მიმართულება. ეს 55-ე წუთზე მოხდა. ძირითადი დროის ბოლო 5 წუთშიც სენტ ლუისი უტევდა, საოვერტაიმო ამბები კი უკვე მოგასხენეთ.

კოლორადოსთან თამაშის მესამე პერიოდში ორჯერ ანგარიშის გაქვითვა ძალიან ბევრს ნიშნავს. ვამაყობ ბიჭებით. მათ დღეს ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის და საბოლოოდ ილბალმაც დაგვიფასა შრომა“ — ასეთი გახლდათ სენტლუისელთა თავკაც ჟოელ კენველის რეზიუმე.

სამხედრო ლარიზიანი



ილქსეი ხიგანოვის დარტყმული კარში შევიდა. მისი თანაგუნდელი კორი სტოლმენი და კოლორადოელი მეკარე პატრიკ რუა მიუფრებლად დარჩნენ

**ადრინაველი**

16 მაისი

ფილადელფია	3
ბორნგო	2

ფილადელფია 12:88 ბორნგო

ფილადელფია: აივერსონი (52 ქულა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), მაკი (19 ქულა, 9 პასი), მუტომბო (14)

ბორნგო: კარტერი (15), დევისი (14), კარი (12)

**იგალია**

კლუბი ოფი	
მეთხედფინალი (სამ მოგებად)	
კინდარი	1
კორდინგარი	0
კინდარი 84:67 კორდინგარი	
პარკოპოპი	0
განეპონი	1
პარკოპოპი 84:93 განეპონი	
სკავოლინი	1
სნაიფარო	0
სკავოლინი 83:63 სნაიფარო	
ფორბიგოპო	1
სინანა	0
ფორბიგოპო 95:56 სინანა	

## სარგბიელი












# გაპცვალრი

ტორონტო კანადა, კანადა ჰოკეის ქვეყანა, ამიტომ ტორონტო კალათბურთში ვერ ვაეჯიბრება ფილადეფიას. ამას ისა სჯობია, ქალაქებმა მოთამაშეები ვაცვალონ — ფილადეფიელ ჰოკეისტო ლიდერი ერიკ ლინდროსი ტორონტოში ვადაბარდეს, მის სანაცვლოდ კი ფილადეფიამ ტორონტოელი კალათბურთელი ვინს კარტერი მიიღოს. დაახლოებით ამას ხუმრობენ ფილადეფიელი გულშემატკივრები, თუმცა, თავად კარტერი (15), კრის ჩაილდსი (1) და ჩარლზ ლული (34) ალბათ სხვაგვარად ფიქრობენ. სხვაგვარად ფიქრობენ, თუ არა, „ფილადეფია“ 121:88 უგებს „ტორონტოს“ და სერიამიც წინ ვადის 3:2.

და საერთოდ, ეს გამორჩეული დღეა „ფილადეფიისთვის“. გუნდის ლიდერი ალენ აივერსონი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის პრიზს იღებს ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნისაგან. ლაურეატის დედა, ენ აივერსონი, რა თქმა უნდა, ხართბს.

# ბიძის ძნელ კვალზე

თამაზას მორაგბე ტერი ქემფიზი დიადი ავსტრალიელი მორაგბის, დევიდ ქემფიზის ძმისწავლია. ბიძის კვალზე შემდგარი ვარე ნახევარმცველი, ლივის რაგბის გუნდ „კანბერა რაიდერზის“ მიწვევას უარობს, მე ნაღდი, თხუთმეტკაცა რაგბი უნდა ვითამაშოთ. ბიძის მაგალითი კი მართლაც აღმაფრთოვანებელია, 101 ტესტი ვოლაბთა გუნდში და სარეკორდო 64 ლელი.



# ორი ხელმოწერა

2008 წლის ოლიმპიადის პეკინში უნდა ვაიმართოს: ჩინელი ქალი მხარს უჭერს მის მშობლიურ ქალაქში მსოფლიოს უდიდესი სპორტული შეჯიბრების გამართვას. მაგრამ არის სხვა ქალიც, რომელსაც პეკინში ოლიმპიადის გამართვა უხეობად მიანია. ეს ქალ ზიბუტელია და ინდოეთის დედაქალაქ დელიში გამართულ აქციასა საპროტესტო პეტიციას აწერს ხელს. კომუნისტური ჩინეთის მიერ ტანჯული ტიბეტელები მეტად ვააქტიურდნენ. ვასაკვირიც არაა, 13 ივლისს მოსკოვში, სოკ-ის ყრილობაზე უნდა ვაირვეს შესძლებს თუ არა პეკინი ოლიმპიადის მასპინძლობას. წინასწარი მონაცემებით პეკინი სხვა კონკურენტებს — სტამბოლს, ოსაკას, პარიზსა და ტორონტოს — ვგარიანად უსწრებს.



# ბრილიანტები უიღსისთვის

ბანში კინოფესტივალია და მის გარშემოც ათასი რამ ხდება. ამათ შორის ბრილიანტების საქველმოქმედო ჩვენებაცაა, რომლის მთელი შემოსავალიც შიდსთან ბრძოლას მოხმარდება. ღირს ტელიორი, ნათი კემბელი, კორტნი კოქსი და რა თქმა უნდა, ადრიანა სკლენარიოვია (სურათზე), რომელიც ამ ბოლო გვერდზე იმიტომ უფრო მოხვდა, რომ ფრანგი ფეხბურთელის, კრისტინ კარემბუს ცოლია. სკლენარიოვას ყელზე მორგებულ ბრილიანტის ყელსაბამში კი 132 ქვა ბრწყინავდა, რის საერთო ფასიც მილიონი ფუნტია. ისე კი, ფოტოზე ბრილიანტს ნაკლებად მიაქცევ ყურადღებას.

**სარბიელი**  
საორტული გაჯეთი  
გაგოცივაა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გაგოდინს საგვაბათს,  
ოთხგვაბათს, ხუთგვაბათს,  
პარასკეპს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳოცხვერია  
დირექტორი ბიორბი ოპროგაქალიძე  
რედაქტორი თამაზ მიბრიაული  
ტექნიკური რედაქტორი პასტანა ბონიკაძე  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტროძე  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაქიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, ვიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში  
იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კვიციანი სტილისტები მია აბოხანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი  
გამომწვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისაგართი:  
თბილისი, ალექსანდრე ყაზბაგის გავზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საგოსტო მისაგართი:  
თბილისი — 79, საგოსტო ყუთი 208. ტელეგონი: 39 48 29  
ელექტრონული გოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge